საქართ. მეძარც. სოც.-დემ. სარეკ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვეულად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 50,000 „
საგმლობარეო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 426 ხუთშაბათი, მარტის 22 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

კომუნისტების ტრიბუნა

6

„რაც უარესი მით უკეთესი“ და ჩვენი ტაქტიკა,

თავისი მიზნების განხორციელებისათვის მენშევიკებმა წამოაყენეს ქართველ **ერის** გამოყენების იდეა, თითქო რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მსოფლიოში ამ გზით განეხორციელებიოს მინიმალური პოლიტიკური განზრახვა!

მაგრამ თუ მენშევიკებს ხელში არა ყავთ განსაზღვრული, ჩამოყალიბებული სოციალური გატეგორია ბრძოლისათვის და მიმართავენ ყველას, მთელ ერს, ხოლო ამ შემთხვევაში მათი ლაღადისი რჩება „ხმად მღაღადებლის უდაბნოსა შინა“, მათ უეჭველად შერჩათ ის, რაც თავიდანვე ახასიათებდა ხსენებულ პარტიას,—აქტიურობის გამოჩენა.

ყოველგვარი აქტიური პოლიტიკა ღრმა კვალს სტოვებს ცხოვრებაში თუ იგი დამყარებულია ცოცხალ, მომქმედ, ძალაზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში აქტიური პოლიტიკა ჰაერში ეკიდება და ის ცდილობს გამოიყენოს ყოველივე მოვლენა თავისი მიზნისათვის. სწორედ აქ არის ფართო ასპარეზი ყოველგვარ ავანტიურისათვის და ჩვენც ვხედავთ, მენშევიკური პარტია სავსებით გაეხვია ავანტიურისტულ პოლიტიკაში.

ამ ჟამად ჩვენს წინაშე ფართო დემოკრატიული და სოციალისტური პოლიტიკა კი არ არის მენშევიკების მიერ გადაშლილი, არამედ პარტიზანული გამოსვლები ეკზოტიური ტიპებისა. მწყობრი მასიური პოლიტიკა კი არა, არამედ ბანდების ფრონტალური დაკვრა, შარა-გზაზე წითელ წიგნაკებიანის ხოცვა-ყლეტა (თელავის მაზრის ამბები და მენშევიკების სამართალი!) და ცხოვრებაში საერთო არევ-დარევის გამოწვევა. ერთი სიტყვით მენშევიკური პარტია დაადგა ექსცესების გზას, ხოლო რაკი ექსცესებით არასოდეს არ დადის ხალხის მასსა, ამიტომ მენშევიკური პარტიაც ნებით თუ უნებლიეთ მიყვება გოგია ღლონტების და ჩოლოყაშვილების გზა-ბილიკებს.

ეს გზა მეტად სახიფათო და მავნებელია მთელი ქვეყნისათვის. ასეთი პოლიტიკით ნდობის დაკარგვა შეიძლება მხოლოდ, მაგრამ სახელის მოხვეჭა—არასოდეს. არსებითად ამ გამოსვლებს პროვოკაციის ხასიათი აქვს და ადვილად გასაგებია, როცა პარტია ვერ ახერხებს ფართო მასობრივ მოძრაობის გამოწვევას, მას პროვოკაციული გამოსვლები ურჩება.

ხშირად პროვოკაცია მეტად დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას. მაგრამ ჩვენი ქვეყნის არევ-დარევა რა გზითაც არ უნდა მოხდეს ეს—ერთად-ერთი სასიხარულო ამბავია მენშევიკური ისტორიისათვის. სიმშილი, გაჭირვება, ავადმყოფობა, სისხლის სამართლის ამბები, წყალდიდობა, მეწყერი, მიწის ძვრა, ცეცხლი, ერთი სიტყვით ყოველივე უბედურობა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი, ბუნებრივი თუ ხელოვნური—სანუკვარი ოცნებაა მენშევიკებისათვის. მთელ თავიანთ პოლიტიკიდან, მათ შერჩათ უკანასკნელი დევიზი—„რაც უარესი—მით უკეთესი“ და ამისათვის ისინი მზად არიან საშინლად გაამწვავონ ჩვენი შინაური ცხოვრება, ღრმათ დარწმუნებულნი იმაში, რომ ეს ქვეყნისათვის მავნებელია, ხოლო არსებითად უაზრო. აი სადამდე დაქვეითდა და დაეცა მენშევიკების ეროვნული პოლიტიკა.

საბჭოთა ხელისუფლებას საზოგადოდ, ჩვენ კერძოდ, სავსებით დამშვიდებით შეგვიძლიან განვაგრძოთ მუშაობა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ... ანალოგიური პოლიტიკის შედეგი თავიდანვე უარყოფითაა.

რა ლოლიკური დასკვნა შეგვიძლიან გამოვიტანოთ ჩვენი ასეთი დამშვიდებული მუშაობიდან? მხოლოდ ის, რომ ჩვენი პოლიტიკა შეუძლებელია იყოს რაც მენშევიკებს ახარებს, ესე იგი „რაც უარესი—მით უკეთესი“. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობა დაიწყო დიდი აღმშენებლობითი მიზნებით. მცირე ხნის განმავლობაში საალმშენებლო მუშაობაში ჩათრეული იქმნა უამრავი ხალხი, რაიცა იწვევდა მასსაში დიდ აღფრთოვანებას. საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობა საოცარი და უმძლავრესი კრიტიკაა მთელი მენშევიკური თეორიისა და პრაქტიკის.

რას ამბობთ? ბანდები და აღმშენებლობა, ბარ-ბაროსები და კულტურა!—ეს წარმოუდგენელი ლახვარია მთელი მენშევიკური იდეოლოგიისა.

ეს მუშაობა ჩვენ არა თუ არ უნდა გავაგრძელოთ, არამედ გავაძლიეროთ, გავაფართოვოთ, გავალრმაოთ. საქართველოში წარმოებულ ამ გენერალურ პოლიტიკას მთელი საერთაშორისო რევოლიუციის ფრონტისათვის აუწერელი მნიშვნელობა აქვს.

საქართველო იყო მსოფლიოში ერთად ერთი წმინდა მენშევიკური სამეფო. ამ ერთად ერთ თავის სამეფოში, რომელიც კაუკაისათვის, რენოდელისათვის, მაკდონალდისითვის იყო მექა და მედინა—მენშევიკებმა მოიპოვეს თეორეტიული და პარქტიკული სიკოტრის სიმწიფე.

მაგრამ, რასაკვირველია, შეუძლებელია მარტო ამ ობიექტიური პირობების შემზადება საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამას თან უნდა ახლდეს ხალხური ნებისყოფა, ვოლიუნტარიზმი, მშრომელი მასსების პოლიტიკური დამოკიდებულება.

მენშევიკების ავანტიურას და პროვოკაციას ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ ფართო ხალხური, ორგანიზაციული მუშაობა. უნდა აშკარად ითქვას: პოლიტიკურ ძალებს სწორედ პოლიტიკური მუშაობა არ უწარმოებიათ დღემდე. მთელი ჩვენი პროვინცია მოკლებულია სისტემატიურ პოლიტიკურ აღზრდას და მუშაობას. მთელი ჩვენი პროვინცია მოკლებულია სისტემატიურ პოლიტიკურ აღზრდას და მუშაობას. მთელი ჩვენი ენერგია ქალაქებში მიავქციეთ, სამაგიეროდ მენშევიკებმა მთელი ენერგია სოფლებში გადაიტანეს. დაუშვებელია რომელიმე ადგილის ცარიელად დატოვება. ჩვენ უნდა საუკეთესო პარტიული ძალები გადავისროლოთ მიყრუებულ სოფლებში და გავაჩაღოთ ექსპრესიული პოლიტიკური მუშაობა.

ქართველი ხალხი მიჩვეულია ფართო პოლიტიკურ მუშაობას. მე არ ვლაპარაკობ აქ მიტინგებზე, ლექციებზე. ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ხალხს მობეზრდა მუშაობის ეს ფორმა. ჩვენ ძველი ფორმის განახლება შეგვიძლიან თუ გნებავსთ! მე ვლაპარაკობ მკითხველთა ჯგუფებზე, ძირითად წრეებზე, იაჩეიკებზე, თანამგრძნობთა ორგანიზაციებზე. მთელი ხალხი უნდა დადგეს ჩვენი მუშაობის გავლენის ქვეშ. ავანტიურის პოლიტიკას დაუპირისპიროთ დადებითი საალმშენებლო და მასობრივი პოლიტიკური მუშაობა.

სიყვარულით ხალხთან! სიხალისით მასსასთან! „რაც უკეთესი—მით უმჯობესი“!—აი ჩვენი მიზანი, ჩვენი გზა, ჩვენი ლოზუნგი. ქართველი ხალხი ამ პოლიტიკის დედაა, მას იცნობს და შვილსავით შეიყვარებს.

თედო ღლონტი.

პრესა

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 227 №-ში მოთავსებულია ამხ. ს. კასიანის სადისკუსიო წერილი „რეორგანიზაცია და რეფორმა ჩვენში“, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასიაში არსებულ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურას. ავტორი მომხრეა რეორგანიზაციის, რასაც ასაბუთებს შემდეგის მოსაზრებით:

„საჭიროა თუ არა ჩვენც გავატაროთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია და უმაღლეს პარტიულ ორგანოთა რეფორმა ამიერ-კავკასიაში ისე, როგორც ამბობს ამხ. ლენინი?

პასუხი, ვფიქრობ, შეიძლება იყოს მხოლოდ კატეგორიულად დადებითი, ვინაიდან ჩვენ უფრო გლეხურ ქვეყანას წარმოვადგენთ, ჩვენში უფრო მეტია აუცილებლობა ორი სოციალური კლასის თანამშრომლობისა, ჩვენ უფრო მეტად გვესაჭიროება გლეხობაზედ ჩვენი გავლენის გაფართოება, მჭიდრო კავშირი მათთან, ფართედ დაპყრობა და ღრმად განმტკიცება მათი სიმპატიისა და თავდადებისა პროლეტარიატის დიქტატურისადმი. მეორე მხრით, ჩვენ აქ უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს, ვინემ რუსეთში, ვიამაყოთ სახელმწიფო და პარტიული ორგანოების უნაკლოებით; ჩვენში უფრო დაბუდებულია სახელმწიფო და პარტიული ბიუროკრატიზმი; ჩვენში ძლიერ სუსტია ნამდვილი კავშირი უმაღლეს პარტორგანოებსა და პარტიულ მასებს შორის, თითქმის არ არსებობს მათი ურთიერთზე მოქმედება და გავლენა. რეფორმისა და რეორგანიზაციის აუცილებლობა ჩვენში ისე თვალსაჩინოა, რომ მაზედ სიტყვის გაგრძელება არა ღირს“.

ნუ თუ ყოველივე ეს დღეს, ამხ. ლენინის წერილის შემდეგ გახდა თვალსაჩინო?

რადიო დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

რურის მოსახლეობის ხასარგებლოდ შეწირულებათა შეკრების აკრძალვა.

ბერლინი, 21 მარტი. რეინლანდის მოკავშირეთა კომისიამ გამოსცა დადგენილება. რურის მოსახლეობის სასარგებლოდ ყოველგვარ შეწირულების შეკრების აკრძალვის შესახებ. ამ განკარგულებასთან დაკავშირებით მიუნხენში მოხდა დაპატიმრებანი. გლადბახში და სხვა ქალაქებში სახელმწიფო ბანკებმა შესწყვიტეს შეწირულებათა შეკრების ოპერაციები. ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს ბანკებში და ფოსტაში შეკრებილ 86 მილ. მარკას.

ოკუპანტების შტაბის გადახვლა.

ბერლინი, 21 მარტი საოკუპაციო არმიის გენერალური შტაბი მაინციდან დიუსელდორფში გადავიდა.

რეკვიზიციები დორტმუნდში.

ბერლინი, 21 მარტი. უკანასკნელ დროს საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებმა ჯავშნიან ავტომობილებისა და ტყვიის-მფრქვეველთა საშვალებით დაიკავეს დორტმუნდის ცენტრალური ნაწილი და დაიწყეს საკრებულოების კლუბების ავეჯის, ხალიჩების, ფარფორის, საწერი მანქანების და სამზარეულო ჭურჭლეულობის რეკვიზიციები.

ხურთ გერმანიის დანაწილება

ბერლინი, 21 მარტი. იხილავს რა დუშერის უკანასკნელ წინადადებას გერმანიიდან რეინლანდის გამოყოფის და მისგან დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნის შესახებ, „დეილ ქრონიკლის“ დიპლომატიური კორესპოდენტი ამბობს, რომ ეს წინადადება არამც თუ არღვევს ვერსალის ხელშეკრულების ანბანს და სულს, არამედ ეწინააღმდეგება აგრეთვე საერთაშორისო უფლებას, კორესპოდენტის აზრით ეს იქნებოდა არა მარტო გერმანიის დანაწილება, არამედ აგრეთვე ერთა ლიგის პრესტიჟის შელახვაც, რადგან მის მფარველობის ქვეშ უნდა შესულიყო ახლად შექმნილი რესპუბლიკა.

ამერიკელი სენატორის ჩამოსვლა.

ბერლინი, 21 მარტი. პარიზში ჩავიდა ამერიკელი სენატორი იანსონი, რომელსაც განზრახული აქვს ინახულოს ბერლინი და რურის ოლქი.

„სოციალისტები“ თათბირზე.

ბერლინი, 21 მარტი. პარიზში გაიხსნა ინგლისის, იტალიის და საფრანგეთის პარლამენტების სოციალისტურ ფრაქციათა დელეგატების თათბირი რურის მდგომარეობის საკითხის შესახებ.

რურის სიმდიდრე.

პარიზი, 21 მარტი. საფრანგეთის საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრის ლე ტროკეს განცხადებით, რომელიც მან გაუკეთა რურიდან დაბრუნების შემდეგ პრესის წარმომადგენლებს, ნახშირისა და კოკსის მარაგი, რომელიც თავმოყრილია რურის ოლქის მარტო ჩრდილო-რაიონში უდრის დაახლოებით—ნახშირის—1 მილ. ტონას და კოკსის—450.000 ტონას.

ახლო აღმოსავლეთი.

მეგობრობა რუსეთთან გაგრძელდება.

ანგორა. 19 მარტი, 16 მარტს, მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადების წლის თავზე. „ენი გიუნმა“ უძღვნა ამ საკითხს მოწინავე წერილი, რომელშიაც სწერს: „საბჭოთა რუსეთმა გაუწოდა ოსმალეთს დახმარების ხელი ყველაზე უფრო მძიმე წლებში და უკანასკნელ დროს მთელ რიგ გარემოებათა მიუხედავად ეს მეგობრობა, ძლიერდება და გაგრძელდება მომავალშიაც“.

დათმობა უზომოდ დიდია

ანგორა. 19 მარტი. „ენი გიუნი“. ეხება რა თავის წერილში ოსმალეთის კონტრ-წინადადებებს, ჩამოსავლის დათმობებს, რომლებზედაც წავიდა ოსმალეთის მთავრობა მოკავშირეების მიმართ ამ კონტრ-წინადადებებში. და სწერს: „ეს დათმობა ძალიან დიდია და საჭიროებაზე გადაჭარბებულიც. ამაზე მეტს ჩვენ არაფერს დაუთმობთ და თუ ევროპა არ მიიღებს ამას, მაშინ დაიწყობა ომი.“

ანგორა. 19 მარტი, გაზეთი „ტანინი“ აცხადებს, რომ მას არ შეუძლია მოიწონოს ანგორის მთავრობის კონტრ-წინადადებანი, ვინაიდან ისინი ხელ-ფეხს უკრავენ ოსმალეთს.

გარინგტონის გამგზავრება ლონდონში.

ბერლინი. 21 მარტი, სტამბოლის ცნობების მიხედვით. ინგლისის მთავრობამ სასწრაფოდ მაიწვია ლონდონში სტამბოლის მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი გენერალი გარინგტონი, რომელმაც მოხსენება უნდა გააკეთოს სამხედრო-საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მარინგტონს განზრახული აქვს დარჩეს ლონდონში 2 კვირის ვადით. მის დაბრუნებამდე მოკავშირეთა ჯარების სარდლობას ჩაიბარებს იტალიის გენერალი მონბელი.

ადგენენ პასუხის ტექსტს.

ლონდონი. 21 მარტი, ლონდონში პარიზში და რომში განაგრძნობენ ანგორის მთავრობის უკანასკნელი ნოტის პასუხის პროექტს. მოკავშირეთა წარმომადგენლების გაერთიანებულ თათბირზე გადასწყვიტეს, რათა პასუხის გაგზავნა არ იქნეს გადადებული პასუხის ძირითადი საკითხი იქნებ[illegible]ს, რომ საჭიროა თუ არა ლოზანის კონფერენციის განახლება და თუ საჭიროა როდის და სად უნდა მოხდეს მისი განახლება.

ვენიზელოსი ლონდონში

ლონდონი. 21 მარტი, ინგლისში გაკვირვებული არიან ვენიზელოსის პარიზიდან ლონდონში ჩამოსვლით. ფიქრობენ, რომ მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია ოსმალეთის კონტრ-წინადადებათა მომავალ განხილვასთან.

ჯარ ხურთ დასცალონ მესოპოტამია

ლონდონი. 21 მარტი, მომავალში გამოაქვეყნებენ მთავრობის კომისიის გადაწყვეტილების მესოპატამიის საკითხის შესახებ. კომისიის წევრთა უმრავლესობა იმ აზრს ადგანან რომ სანამ არ იქნება დადებულ ზავი ოსმალეთთან და გამორკვეული მოსულის ბედი, მანამ ინგლისს არ შეუძლია მესოპოტომიის დაცლა და მესოპოტამის ევაკუაცია მოხდება მხოლოდ 5—6 წლის შემდეგ. ინგლისის უმაღლესი კომისარი მესოპატამიაში კოკსი გაემგზავრა ლონდონიდან ბაღდადში.

რუსეთი.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი 20 მარტი. დღემდე შენიშნული გაუმჯობესება თანდათანობით გრძელდება. საერთო მდგომარეობა კარგია.

20 მარტი. 14 საათი. პროფესორები **მინკოვსკი. ვერსტერი, კრამერი.** პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

ესერების პარტიის უბრალო წევრთა ყრილობა

მოსკოვი 21 მარტი. 20 მარტს ესერთა პარტიის უბრალო წევრთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე მიმდინარე მომენტის შესახებ გამართულ კამათის დროს დელეგატები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა თავი დაანებონ ნაროდნიკულ სოფლმხედველობას და შეისწავლონ მარქსიზმის საფუძვლები იმავე სხდომაზე, საღამოს, ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რუსეთის რევოლიუციის ხანაში ესერთა პარტია სავსებით დაიშალა რის გამოც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, ცეკას წევრთა და ემიგრანტთა სახით, რომელთაც ულალატეს რევოლიუციონურ სოციალიზმის აღთქმებს, არ აქვთ უფლება ილაპარაკონ ესერების პარტიის სახელით რეზოლიუცია მოუწოდებს მუშათა და გლეხთა მოძრაობის ერთგულებს შეუერთდენ კომუნისტურ პარტიას. ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის კომისია ყრილობის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანად. ამ კომისიის შემადგენლობაში შევიდენ; კონონოვი, როლენდერი და სგონშტერნი. სხდომაზე სმგენშტერნმა სხვათა შორის განაცხადა, რომ დელეგატების განკარგულებაში მყოფ ცნობების თანახმად, დაპატიმრებულ ესერთა ერთი ნაწილი სავსებით იზიარებენ ამ ყრილობის პლატფორმას. ამის გამო ყრილობამ დაადგინა მიმართოს დაპატიმრებულ ესერებს მოწოდებით ფორმალურად შეურთდენ ყრილობის გადაწყვეტილებებს. მაგრამ ყრილობა აღნიშნავს, რომ საჭიროა ძალიან ფრთხილი მოქმედება, რათა ყრილობის მოპატიჟებით არ ისარგებლონ იმ პირებმა თავის მიზნებისათვის, რომლითაც კავშირი არ აქვთ გაწყვეტილი ესერების ცეკასთან და საზღვარ-გარეთელ ჯგუფთან.

ამერიკელ მუშების დახმარება

მოსკოვი 21 მარტი. „ამერიკელ მუშებისაგან ამხ კალინინის სახელზე მიღებულია 1500 დოლარი რომელიც შეაგროვეს რუსმა მუშებმა ამერიკაში დამშეულთა სასარგებლოდ. ამხ. კალინინმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სახელით ღრმა მადლობა გადაუხადა რუს—მუშებს ამერიკაში ძმური დახმარებისათვის.

უკრაინა და აღმოსავლეთი გალიცია.

მოსკოვი 21 მარტი. ხარკოვის მე-7 საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ამხ. რაკოვსკიმ, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა უკრაინა პროტესტს აცხადებს პოლონეთის მიერ აღმოსავლეთ გალიციის მიკუთვნების წინააღმდეგ. რაკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ფედერაცია არ მიილტვის ტერიტორიის გაფართოებისაკენ, მაგრამ, მისი აზრით აღმოსავლეთ გალიციის განკარგულების უფლება აქვს მხოლოდ მის მოსახლეობას. გალიციისა და უკრაინის მუშათა და გლეხებისათვის სულ ერთი არ არის იქნება გალიციაში ძალადობის თუ თავისუფლების რეჟიმი. რაკოვსკიმ აღნიშნა აგრეთვე ის გარემოება, რომ პოლონეთმა გააღიდა თავისი შეიარაღებული ძალები თითქმის 100 პროცენტით, მაშინ როდესაც რუსეთსა და უკრაინას არ გაუწვევია ჯარში არც ერთი ზედმეტი წითელ არმიელი, რაიც საუკეთესო მაჩვენებელია უკანასკნელთა მშვიდობიანობისკენ მისწრაფებისა. რაკოვსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ პოლონეთის მუშები და გლეხები გამოასწორებენ მათი მთავრობის შეცდომებს.

შაქრის წარმოება.

მოსკოვი 21 მარტი. წარსული პერიოდის საწარმოვო გეგმით უკრაინაში მოქმედებდენ 87 შაქრის ქარხანა. ამ პერიოდში გამომუშავებულია სულ 9.600.000 ფუთი თეთრი შაქარი.

პარტიისაკენ ლტოლვა.

მოსკოვი 21 მარტი. დონბასის უპარტიო მუშათა შორის გაძლიერდა კომპარტიისაკენ ლტოლვა. საგუბერნიო კომიტეტმა მიიღო მუშებისაგან მთელი რიგი განცხადებებისა პარტიაში მათი შესვლის შესახებ. დონბასში მყოფ თათრებს შორისაც გაძლიერდა ასეთივე ლტოლვა პარტიისაკენ.

ანტი-რელიგიური მოძრაობა.

მოსკოვი 21 მარტი. დონბასის თათრის მოსახლეობის შორის გაძლიერდა ანტი-რელიგიური მოძრაობა. თათრების კომახალგაზრდობის კავშირმა გამოიტანა დადგენილება მეჩეთების დახურვის და მოლების განდევნის შესახებ.

მეცნიერების მოღვაწეთა კონფერენცია.

მოსკოვი 21 მარტი. მოსკოვში გაიხსნა მეცნიერების მოღვაწეთა პირველი კონფერენცია რუსეთის ბუნებრივ და საწარმოვო ძალთა შესასწავლათ. კონფერენციაზე გამოცხადდენ აკადემიკოსები და მეცნიერები ს. ს. რ. კ. ყველა კუთხიდან. კონფერენციას მიესალმა ამხ. კრასინი, რომელმაც გამოსთქვა იმედი, რომ ეს კონფერენცია -იქნება სერიოზული მიხწევა მეცნიერების, ტეხნიკის და ეკონომიკის გაერთიანების დარგში. ამხ. კრჟიჟანოვსკიმ განაცხადა, რომ კონფერენციამ უნდა სთქვას ახალი სიტყვა და დაიმსახუროს ისეთივე პატივისცემა რუსეთის მეცნიერებისადმი საზღვარ-გარეთის მხრით, როგორიც დაიმსახურა ჩვენმა პოლიტიკურ ხელმძღვანელებმა.

კრედიტი მუშებს.

მოსკოვი 21 მარტი. მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა დაიწყო მუშებისათვის პირველ მოთხოვნილების საგნების ნისიათ მიცემა. პირველ რიგში კრედიტი გაეხსნება ინდუსტრიალურ მუშებს, შემდეგ განათლების, მედიცინის და სახალხო მიმოსვლის მუშაკებს. კრედიტი მიეცემათ 4 თვით, საშუალოთ 20 საქონლის მანეთი თითო მუშაზე.

ფიზიკური კულტურა ახალგაზრდობის შორის.

მოსკოვი 21 მარტი. რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის მოსკოვის ორგანიზაციას მოწყობილი აქვს პროლეტარულ ფიზიკურ კულტურის 105 წრე, რომლებშიც შედის 10.000-დე წევრი.

ახალი ამგვიგი.

— **განათლების კომისარიატები.** განათლების სახალხო კომისარიატმა ყველა ტეხნიკუმებს დაუგზავნა ცირკულიარები, რომლითაც წინადადება ეძლევათ ტეხნიკუმის გამგეებს სასწავლებლებში წარმოდგენის მოწყობის უფლებისა, რომელიც უნდა იყოს ფასიანი სკოლების სასარგებლოდ.

— სახ. განათლების კომისარის ბრძანების (№ 24) თანახმად, განთავისუფლებულია საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორი პროფ. ანდრია ბენაშვილი თანამდებობისაგან ა. წ. მარტის 20-ან. და მის მაგივრად დაინიშნა ამავე თანამდებობაზე პროფ. ალექსანდრე დიდებულიძე ა. წ. მარტის 20-დან.

— **ბეგარა მონადირეთა კავშირის წევრებზე.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის დადგენილებით 1923 წლიდან დაარსებულია გადასახადი მონადირეთა კავშირის წევრებზე 3 მანეთით ოქროთი. მონადირეთა კავშირის ცენტრალურ საბჭომ ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა აღნიშნული გადასახადი გაუქმებულ იქნას, ვინაიდან ასეთი გადასახადის გადახდა არ შეუძლიანთ მონადირეთა კავშირის წევრებს, რომელთა უმრავლესობა ეკუთვნის უფრო მშრომელ ელემენტებს. ამას გარდა გადასახადის ასაცილებლად ბევრმა მონადირემ ფარულად დაიწყო ნადირობა, რაიც სასურველი არაა! და ეს გამოიწვევს ფრინველთა მეტ გაწყვეტას.

— **ახალი სკოლები.** კოჯრის აღმასკომის თავმჯდომარის, ამხ. ოგანეზოვის, თაოსნობით კოჯრის რაიონის სოფ. დიდებაში ამ მოკლე ხანში იხსნება ორი სკოლა—პატარეებისა და მოზრდილებისათვის (წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო). სოფელი ძალიან მიყრუებულია, მცხოვრებთა შორის ორი კაცი ძლივს მოიძებნება წერა-კითხვის მცოდნე.

— **კავკასიის განსაკუთრებულ ცხენოსანთა ბრიგადისათვის მუდმივი დახმარება.** ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა აძლიოს ყოველთვიურათ, მუდმივი დახმარების სახით კავ. განს. ცხენოსანთა ბრიგადას—100 მილიონი მანეთი.

— **კამიტ ბიუსტი.** აღმასკომის პრეზიდიუმის ძველი დადგენილების თანახმად, შეძენილ იქნა ამხ. კამოს ბიუსტი, რომელიც აღმასკომის სხდომების დარბაზში დაიდგმება.

პარტიაში

— კვირას, მარტის 25, რედაქციაში შესდგება მთავარ კომიტეტის მორიგი სხდომა.

—

დღეს, ხუთშაბათს, სრულ 2 საათზე „ტრიბუნა“-ს რედაქციაში დანიშნულია მეოთხე რაიკომის მორიგი სხდომა. ამხანაგების დასწრება საგალდებულოა.

მდივანი: **ხოფერია.**

—

1922 წელს დეკემბერში ქ. ბერლინში შესდგა სოც.-რევ. პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა თათბირი. თათბირის მასალები დაბეჭდილია ყოფილა „რევოლიუციონური რუსეთის“ 24—25 ნომრებში. მასალათა შორის აღსანიშნავია და ვიქტორ ჩერნოვის „თეზისები საერთო პოლიტიკური საკითხების შესახებ“. მოყვანილია „ნაკანუნეში“. ჩერნოვის აზრებში ნათლად სჩანს სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის შეცდომები და ცოდვები.

ჩერნოვი უკეთებს რა ჯამს რევოლიუციის მსვლელობაში აღმოცენებულ ფაქტებს და გაკვეთილებს, აგრეთვე სოც.-რევ. პარტიის უნაყოფობას რეზულტატებს ბოლშევიზმთან ბრძოლაში, ამბობს:

„დათმობის და კომპრომისების გზით რეაქციის განიარაღების ცდამ მიგვიყვანა რეაქციის გამოლაშქრების გაძლიერებამდე, პარტიულ პოზიციების რეაქციაზე გადაცემამდე და პარტიულ დროშების უსარგებლო კომპრომეტაციამდე“.

„მას შემდეგ,—განაგრძნობს ჩერნოვი,—რაც ამ სისტემატიურ კაპიტულიაციის მსვლელობაში პარტიისთვის საბედისწერო როლი ითამაშეს პოლიტიკური ორგანიზაციებმა და კოალიციური ხასიათის ჯგუფებმა, „აღორძინების კავშირის“ სახით, რომლებიც იძლეოდენ პარტიის ძალების მოხმარების შესაძლებლობას პარტიისვე წინააღმდეგ; მას შემდეგ, რაც ასეთ თვითმკვლელობის ტაქტიკის წყალობით ბრძოლა, დაწყებული ჩვენი პარტიის მიერ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, გადავიდა—უცხოეთის ინტერვენციის ფარული თუ აშკარა დახმარებით,—გენერლების რეაქციის ხელში და დემოკრატიის ფრონტები გარდიქმნა თეთრ ფრონტებად; მას შემდეგ, რაც ამ დამარცხებათა ატმოსფერაში პარტია წარსდგა საკუთარი ვინაობის და ხალხური მასსების ნდობის დაკარგვის წინაშე და ელოდა მას გახრწნა სრული სასოწარკვეთილების და დემორალიზაციის სფეროში;—ყოველივე ამის შემდეგ პარტიის გადარჩენის საშუალებად რჩებოდა: კურსის ძირიანად შეცვლა... და შეტრიალება მთელი ფრონტით ახალ საშიშროების—გენერლების დიქტატურის და მასთან განუყრელად დაკავშირებულ სოციალურ და პოლიტიკურ [illegible]“.

ასეთია ბ-ნ ჩერნოვის აოსარებანი. მართალია, ჩერნოვი ასეთ [illegible] წარსულს აკუთვნებს, მაგრამ აშკარაა, რომ მათ მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ვითარებისათვისაც. ჩერნოვის „აღსარება“ ერთხელ და საბოლოოდ ამტკიცებს იმ დებულებას, რომ შეუძლებელია „რევოლიუციის და რეაქციის შუა“ დგომა, საშუალო ხაზების ძიება. ან რეაქციისაკენ, ან რევოლიუციისაკენ, სხვა გზა არ არსებობს. რეაქცია საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო მაშინ როდესაც იგი მძიმე არტილერიითაა შეიარაღებული, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი განიარაღებულის სახით გეევლინება. განა არ იციან ბ-ნ ჩერნოვებმა, რომ რეაქციის სამხედრო ავანტიურიზმს მეტი ზიანის მიყენება შეუძლია რევოლიუციისათვის, ვინემ რომელიმე კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფის შეიარაღებულად გამოსვლას?

ასწავლის წარსული გამოცდილება და პრაქტიკა ჭკუას სოც.-რევ. პარტიის ხელმძღვანელებს. შეიგნებენ ისინი თავიანთ მოღალატურ საქციელს და შეეცდებიან გამოასწორონ ისტორიული დანაშაული მშრომელთა ხალხის წინაშე? ამას მომავალი გვიჩვენებს.

მენშევიკთა შოკრის

„კომუნისტის“ № 63-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„გთხოვთ თქვენ პატაცეცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრები მთელი ქვეყნის მუშათა კლასის გასაგონად ვაცხადებთ. რომ მენშევიკურმა პარტიამ და მეორე ინტერნაციონალმა უკვე საკმარისად გაჰყიდეს მუშათა კლასის ინტერესები, ისინი დაუკავშირდენ მსოფლიო ბურჟუაზიას და მუშათა კლასის საწინააღმდეგოდ მუშაობენ.

მენშევიკები თავის ბატონობის დროს სდევნიდნენ საქართველოში მუშათა კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას და სრულ კონტაქტში და კავშირში იყვნენ მეფის გენერლებთან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ისინი დაუკავშირდნენ როგორც მსოფლიო ბურჟუაზიას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ბანდიტებს: ჩოლოყაშვილს, მათიაშვილს, მანწკავას და სხვებს და იმათი დახმარებით სურთ, რომ ჩამოაგდონ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მთავრობა. ამიტომაც ჩვენ დღეის რიცხვიდან გამოვდივართ მენშევიკურ პარტიიდან, ვსტოვებთ მას და ვგმობთ მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას“.

(ხელს აწერს 116 კაცი).

მუშათა ცხოვრება.

ჩვენი თავისუფლებით ჩვენი მტრები სარგებლობენ

მოგახსენებთ ცხოვრების სიძვირეზე, იმ სიძვირეზე, რომელიც თითქოს მარადიულ და განუყრელ მეგობრად გაუხდა ღარიბ-ღატაკ და მშრომელ მუშა ხალხს.

მიდის ესეთ ყოფაში დრო, და როგორცა ვხედავთ ვაჭარ-სპეკულიანტები უფრო ძლიერი და მაგარი აღმოჩნდნენ ვიდრე ჩვენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მომხმარებელი მოქალაქე რომ გამოდის ბაზარზე, ვერა ხედავს საგნებზე და სურსათ-სანოვაგეზე **ერთიან ფასებს,** ყოველი ვაჭარი თავის საქონელს იმდენს აფასებს, რამდენიც თვითონ მოესურვება და აქედან ცხადადა სჩანს, რომ ამ მხრივ მას თავის მოქმედებაში სრული თავისუფლება აქვს.

ვაჭარ-ჩარჩების ექსპლოატაცია ღარიბ ხალხზე რომ ანბანურ ჭეშმარიტებად გარდაიქცა, ამას თვითონ ვაჭრებიც აღარ მალავენ,

იმდენად მომაბეზრებელი გახდა საერთოდ გაჭირვებულ ცხოვრებაზე და კერძოდ ბაზრის გაძვირებაზე ლაპარაკი, რომ ხალხი უკვე შეეჩვია არა ნორმალურ პირობებს და იგი უკვე დუმილზე გადავიდა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ რომ ხალხის დუმილი უფრო საშინელებაა ჩვენთვის, ვიდრე ჩარჩების უსაზღვრო თარეში „აღება-მიცემობის“ და ვაჭრობის „განვითარების“ სფეროში.

რა შედეგებს იძლევა ცხოვრებაში თავისუფალი სპეკულიაციაა?

— ავადმყოფობას, პროსტიტუციას, ქურდობა-ავაზაკობას, თვითმკვლელობას, ოჯახურ მყუდროების დარღვევას და ათასგვარ ბოროტ-მოქმედებას.

რკვევასა და განმარტებას საზოგადოების ბუნებისას, ეთიკა დაგვისახავს განსაზღვრულ ზნეობრივ იდეალს, ხოლო სამართლის თეორია მოგვცემს ამ იდეალის უფლებრივ ნორმებში გამოხატვას. ყოველივე ამის შემდეგ, პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში გაატარებს ზნეობრივ-უფლებრივ მიზნებს.

მაშასადამე პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველი სოციალურ მეცნიერებათა დანასკვია. თუ არ გვაქვს გარკვეული ბუნება საზოგადოებისა, თუ არ ვიცით ჩვენი შემოქმედების ზნეობრივი პრინციპი, თუ უცნობია ამ პრინციპის უფლებრივი გამოსახვა, ჩვენ ვერ ავაშენებთ ვერავითარ პოლიტიკას, ჩვენ ვერ შევქმნით პოლიტიკურ მსოფლმხედველობას; კიდევ მეტი, ჩვენ ვერ დავისახავთ ვერც გარკვეულ პრაქტიკულ მიზანს. პრაქტიკა და თეორია, თეორია და პრაქტიკა არ შეიძლება ერთმანეთისაგან დაშორებულ იქნეს. ვინც ამას ვერ გაიგებს, იგი ვერ გაიგებს თავის შეცდომების მთავარ საფუძველს. თეორია და პრაქტიკა ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიემართებოდეს პოლიტიკის სარბიელზე, თეორიით უნდა ირკვეოდეს ფაქტები და ფაქტებით უნდა შემოწმებულ იქნეს თეორია.

ზოგიერთებისაგან ჩვენ მოგვისმენია:—დღეს პრაქტიციზმის საუკუნეა, ბრძოლაა გაჩაღებული შრომასა და კაპიტალს შორის, ამდენათვე ეხლა თეორიების ძიება განყენებულ კონცეპციების ჭიდილი ღალატია სოციალიზმის მიმართ, დოქტრიანერობაა გადამწყვეტი ბრძოლის დროს, დოგმატიზმის გამეფებაა პოლიტიკაშიო.

ეს დებულება სწორიც არის და არც არის. სწორია იმდენათ, რამდენათაც დოქტრინიერობა და დოგმატიური თვალსაზრისის გამეფება პოლიტიკაში მიუღებელია, რადგან პოლიტიკა მიმდინარე ცხოვრების რეალ ფაქტებზედ უნდა იყოს **შემოწმებული** და არა რეალური ცხოვრების გარეშე მდგარი თეორეტიულ სამყაროში. მაგრამ ეს დებულება უსწორია იმდენათ რამდენათაც პოლიტიკა არ შეიძლება **აშენებულ** იქმნეს მხოლოდ კონკრეტიულ მოვლენათა მიმდინარეობაზე განსაზღვრულ პერიოდში.

სიმძიმის ცენტრი არის უმთავრესად არა პრაქტიკაში, არამედ თეორიაში. ვინც გაიძახის ძირს დოქტრინერობა გაუმარჯოს რევოლიუციასო, **მას შეგნებულად თუ შეუგნებლად, მაინც მიღებული უნდა ქონდეს განსაზღვრული გეგმა ისტორიული პროცესის,** სოციალური იდეალის ბუნება, რომელსაც რევოლიუცია მიზნათ ისახავს და უფლებრივი ფორმა ამ იდეალის, რომლის რეალიზაციაც უნდა მოახდინოს **რევოლიუციის** პროცესმა.

უფრო მარტივად, **რომ** დღეს გაიმეორო სიტყვები—ძირს დოქტრინერობა, გაუმარჯოს რევოლიუციასო—**უნდა** გქონდეს აუცილებლად **შემდეგი დოქტრინები: პირველი,** რომ სოციალური ევოლიუცია განსაზღვრულ ფაზისში თავის განვითარებისა, ქმნის აუცილებლობას **რევოლიუციონური** ტეხილებისას; **მეორე,** რომ დღევანდელი ეპოქა წარმოადგენს **რევოლიუციონურ** ტეხილების პერიოდს; **მესამე,** რომ კაპიტალიზმი თვითმკვლელობითა და კრიზისებით არ ასრულებს თავის არსებობას და საჭირო ხდება **რევოლიუციონური** თავდასხმა კაპიტალზედ; **მეოთხე,** რომ პიროვნების **როლი** ისტორიაში აქტივისტურია და მოძრაობას ხალხის ფართო მასებისას, მის სუბიექტიურ შემეცნებას განსაზღვრული სოციალური იდეალის შესახებ, მიზნის დასახვას და მისთვის ბრძოლას აქვს მნიშვნელობა სოციალური ცხოვრების განვითარებაში; **მეხუთე,** რომ საჭიროა განსაზღვრული იდეალი ახალი სოციალური ფორმაციისა, დასახვა მისი უმთავრესი შტრიხებისა; **მეექვსე,** რომ საჭიროა განსაზღვრული უფლებრივი ინსტიტუტი, **რომელიც** დასახულ იდეალს **გაანადგურებს** სინამდვილეში.

ყოველივე ამისათვის **დოქტრინის** წინააღმდეგ მოამბოხემ **უნდა** მიიღო **დოქტრინები;** სოციოლოგიური, ეთიკური და იურიდიული. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ბრძოლა იქნება **უმიზნო** ადამიანის **უმიზნო** ბრძოლა.

დოქტრინის საჭიროებას მოითხოვს არა თუ **რევოლიუციის** მიღება, არამედ **მარტო** **დოქტრინის** **უარყოფაც.** ასე, **რომ** **დოქტრინის** **უარყოფისათვის** საჭიროა ისევ **დოქტრინის** მიღება, ისე, **როგორც** ფილოსოფიის **უარყოფისათვის,** საფრანგეთის ერთი მოაზროვნის **თქმის** **არ** **იყოს,** საჭიროა **ფილოსოფიის** **მოხმარა.**

მართლაც, **სკეპტიკი** **ის** **კი** **არ** **არის,** **რომელიც** **ამბობს—მე** **არაფერს** **არ** **ვამტკიცებო—არამედ** **ის,** **რომელიც** **იტყვის—მე** **არც** **იმახ** **ვამტკიცებ,** **რომ** **არაფერს** **არ** **ვამტკიცებო.** **დოქტრინათა** **უარმყოფელსაც** **ანალოგიური** **ბედი** **ელის.** **იგი** **ლოლიკურად** **უპრინციპობის** **ჭაობში** **ჩაეფლება.**

მაშასადამე **პოლიტიკური** **პარტია,** **რომელსაც** **სურს** **პოლიტიკის** **შენება,** **ამ** **თერმინის** **მაღალ** **მნიშვნელობით,** **უნდა** **ემყარებოდეს** **გარკვეულ** **პოლიტიკურ** **მსოფლ-მხედველობას,** **რომელიც** **დამყარებული** **უნდა** **იყოს** **მტკიცეთ** **ძირითად** **პრინციპებზე.**

სადაც **არ** **არის** **განსაზღვრული** **იდეოლოგია,** **როგორც** **წყარო** **პოლიტიკისა** **და** **განსაზღვრული** **ორგანიზაცია,** **როგორც** **ცოცხალი** **არსი** **პოლიტიკის** **მატარებელი,** **იქ** **არ** **არის** **პოლიტიკური** **პარტია.**

მსოფლიოში **ვერ** **ვიპოვით** **ვერც** **ერთ** **სერიოზულ** **პოლიტიკურ** **პარტიას,** **რომელსაც** **არ** **ქონდეს** **განსაკუთრებული** **იდეოლოგია** **და** **განსაკუთრებული** **ორგანიზაცია.** **სადაც** **არ** **არის** **მტკიცე** **იდეოლოგია** **და** **მტკიცე** **ორგანიზაცია,** **იქ** **არ** **არის** **პოლიტიკური** **პარტია.** **სადაც** **ყველა** **თავის** **„თეორიას“** **ატარებს** **ჯიბით** **და** **თავისი** **მოქმედებასა** **და** **მოღვაწეობაში** **მტკიცედ** **არ** **სდგას** **პარტიის** **დისციპლინის** **ნიადაგზე,** **იქ** **სუროგატია** **პოლიტიკური** **პარტიის,** **რომელიც** **ვერასოდეს** **ვერ** **შესძლებს** **პოლიტიკური** **ცხოვრებაში** **მნიშვნელოვანი** **როლის** **შესრულებას.**

კომუნისტური **პარტია** **დღეს** **განსაკუთრებით** **ყურადღებას** **აქცევს** **მარქსისტული** **აზროვნების** **ინტერპრეტაციას** **და** **თავის** **პოლიტიკის** **დასაბუთებას** **მარქსიზმით**

ჩვენ **საყოველდღეო** **პოლიტიკურ** **მოვლენებში** **ჩაძირულნი** **ნაკლებ** **ყურადღებას** **ვაქცევდით** **სოც.-ფედერალისტური** **ნააზრევის** **ინტერპრეტაციას.** **ჩვენი** **პოლიტიკა,** **არ** **მცოდნეთ** **ჩვენი** **პარტიის** **პრინციპებისა,** **მიაჩნიათ** **ამ** **პრინციპების** **დარღვევაო** **განსაკუთრებით** **მემარჯვენე** **ფედერალისტები** **თავის** **თავს** **სთვლიან** **სოციალ-ფედერალიზმის** **მემკვიდრეებად.**

ჩვენი **მორიგი** **ამოცანა** **უნდა** **იქნეს** **იდეოლოგიურ** **ფრონტზედ** **მუშაობის** **გაჩაღება.** **თეორეტიულ** **კონცეპციების** **რევიზიისა** **და** **შემოწმებისათვის** **მდიდარ** **მასალას** **წარმოადგენს** **რუსეთის** **რევოლიუციის** **განვითარება** **და** **მისი** **შედეგები.**

ვინ **ვიყავით?** **რანი** **ვართ?** **საით** **მივდივართ—ეი** **მორიგი** **საკითხები,** **რომელნიც** **პასუხს** **მოითხოვს.**

სერ. ამაღლობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 25 ამ თვეს, საღამოს 6 საათზე, პარტიის ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 11) ამხ.

სერგ. ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

„ჩვენი პოლიტიკა სოციალიზმ-ფედერალიზმის სამსჯავროს წინაშე.“

შესვლა შეუძლია პარტიის ყველა წევრებს, თანამგრძნობთ და უპარტიოთ. დასასრულ კამათი.

მე-4 საუბნო კომიტეტი.

და რადგანაც ეს ასეა, ჩვენ ვამბობთ:—თუ რომ ასეთ მოვლენებს ალაგი აქვს იმპერიალისტურ და ბურჟუაზიულ ქვეყნებში,—ალაგი არ უნდა ჰქონდეს მით უმეტეს საბჭოთა ქვეყანაში, ვინაიდან ჩვენი ცხოვრების მმართველი არის არა ბურჟუაზია, არამედ მუშათა კლასი.

პირდაპირ წარმოუდგენელია დღევანდელ ბაზრის მდგომარეობის გახანგრძლივება; წარმოუდგენელია ის ამბავი, რომ ერთის მხრივ მთავრობა მუშათა კლასის სახით თავის აღმშენებლობითი მუშაობის პროცესში, ყოველგვარ მსხვერპლს იღებდეს მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვებისათვის და ამავე დროს ამ მუშაობის გასაბათილებლად სასტიკ ბრძოლას აწარმოებდეს ხროვა პარიზიტებისა?

განა დღევანდელი სპეკულიატიური „ვაჭრობა“ ისეთივე მტერი არ არის რევოლიუციონური ხალხისათვის, როგორც დენიკინ-ვრანგელის კონტრრევოლიუცია? ჭეშმარიტად რომ ასეა და ამიტომ ვამბობთ, საჭიროა არა საგაზეთო პროპაგანდა, არამედ რევოლიუციონური ცეცხლი და მახვილი ჩარჩების მოსარჯულებლად.

საკმარისია 100 პროც. მოუმატო მუშა ხალხს, რომ ვაჭრები საქონელზე 200—300 პროც. უმატებენ, მაგრამ ვაჭართა ბოროტმოქმედება მარტო ხომ ამითი არ ამოიწურება? ტყავს გაძრობენ, უკანასკნელ ბაზრომ კაპეიკებს ჯიბიდან გაცლიან და ამავე დროს ვაძლევენ სრულიად ყალბ საქონელს; მაგალითად რუსულმა ბანკმა რომ ფქვილი მისცა პურის მცხობლებს, პირობა ისეთი იყო დადებული, რომ ვაჭარს განსაზღვრულ ფასის ზევით უფლება არა ჰქონდა გაეყიდნა პური. ეს პირობა სრულდებოდა ერთის მხრივ, მაგრამ მეორეს მხრივ ხდებოდა ისიც რომ ბანკის მიერ გაცემულ ფქვილში (ხალასში) ჩვენი პურის მცხობელები ურევდნენ შიგ შავს, და ამავე დროს სიმინდის ფქვილსაც და არსებითად ის გამოდიოდა რომ ისინი პირობას არღვევდნენ და განსაზღვრულ ფასზე ზევითა ჰყიდდენ. მაგრამ განა მარტო პურია სალაპარაკო? აიღეთ ღვინო, თევზეულობა, ხორცი და სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგე და ყველა ის ეს ყალბი და ადამიანის მომწამლელი საქონელი იყიდება ბაზარზე თავისუფლად და ართმევენ იმდენს, რამდენსაც მოისურვებენ.

და ეს ხალხის პარაზიტები ისე გათამამდნენ, რომ საქონლის ყიდვის დროს, ყურადღებას აღარ გაქცევენ, დაგცინიან და ხშირად გლანძღავენ კიდეც.

მშრომელი მუშა-ხალხი წელში წყდება, სისხლიდან იცლება და ამ სისხლით მუქთა ხორა ვაჭარ-ჩარჩები და სპეკულიაციის მოციქულები იჟღინთებიან.

საჭიროა მათ ეს სისხლი უკანვე ვადინოთ.

საჭიროა რამდენიმე მაგალითი და შედეგიც სასურველი იქნება.

მუშა დაუდ-ბეგ.

კეთილი საქმე კეთილად უნდა დავვირვინდეს

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ იქნა დეკრეტი სამკურნალო ადგილების სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

ბრმათათვისაც ნათელი და გარკვეული უნდა იყოს ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხშიდაც სწორი და მიზანშეწონილი ნაბიჯი გადასდგა.

დიდი ხანია ეს საკითხი სათანადოთ გადაჭრას მოითხოვდა, მაგრამ მის მოგვარებას ბურჟუაზიასთან კონტაქტში მომუშავე „სოციალისტი“ მენშევიკები შესძლებდნენ? რომელი საკითხი იყო მათ ხელ მოგვარებული მშრომელთა საკეთილდღეოთ, ან ეს მოეგვარებინათ? არც ერთი.

სამკურნალო და სააგარაკო ადგილები დღემდე მიუწდომელი იყო მშრომელი კლასისათვის. აგარაკების ბუნების სიმშვენიერით სტკბებოდა მხოლოდ ის კლასი რომელიც მარტო თავის განცხრომაზე, ფუფუნებაზე ფიქრობდა და თავის ცხვირს ქვეთ ვერაფერს ამჩნევდა და არც აინტერესებდა.

დღეს კი საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი, მშრომელი მოსახლეობის საჭიროებისათვის მიმართული, უნდა განხორციელდეს ეს, როგორც ამას მოითხოვს მათი ინტერესები. სამკურნალო ადგილების გამოყენების საკითხი უსაფუძვლოდ უნდა მოგვარდეს საჩქაროთ, რათა მითი საქმელობა შეეძლოს მშრომელ კლასს, რომლის ხელშიაა დაბჯენილი სახელმწიფოს კეთილდღეობა და ბედ-იღბალი.

ცარიზმის ხანა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მუშათა კლასი რევოლიუციის პირველ დღეებიდან უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. სურსათ სანოვაგის ნაკლულოვანება მშრომელ ხალხს უფრო ეტეკა და იგი მუდამ აუტანელ მდგომარეობაში ყოფობით ნელ-ნელა ისუსტებდა ჯანმრთელობას და იფიტებდა ორგანიზმს, ვინემ სხვა რომელიმე კლასი. სახელმწიფოს კეთილდღეობით ვინც იყო დაინტერესებული მას მეტი ენერგია, მეტი ჯანმრთელობა წაერთვა. ასეთ დაინტერესებულ კლასად იყო მშრომელთა მასები და მათ უნდა სამკურნალო დახმარება, აგარაკებით სარგებლობა.

დიახ, დღევანდელ ხელისუფლების მიერ გამოცემული დეკრეტი სწორედ ამ მშრომელი მასების კეთილდღეობისაკენ არის მიმართული და სასურველია მას პრაქტიკული ნაბიჯებიც მოჰყვეს დაკვრითი ხასით, როგორც ეს სჩვეულია მთავრობას. სამკურნალო ადგილებით სარგებლობა ეს პირველი მოთხოვნილებაა მშრომელი კლასისათვის და რაც ჩქარა მოგვარდება, მით უკეთესია.

სამკურნალო ადგილებიდან შემოსავლით არ ადა იყოს დაინტერესებული მთავრობა. ამ საქმეს „ნეპოს“ თვალსაზრისით არ უნდა მიუდგეს ისე, როგორც სახალხო განათლების საქმეს არ უდგება. ეს უწინ, ცარიზმის დროს, სახალხო განათლებას ხალხის ჯანმრთელობას ძალიან ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული და სახელმწიფოს მთელი ბუჯეტის 40 პროც. (ინგლისი) 25 პროც. (რუსეთი) ბედრო საქმეებზე იხარჯებოდა, დღეს ეს არ უნდა მეორდეს და 40 პროც. და კიდევ მეტიც ხალხის ჯანმრთელობას უნდა მოხმარდეს, რადგან, თუ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი და განსაკუთრებით რომელი მასები ჯანმრთელია, სახელმწიფოს ცხოვრების მიმდინარეობაც ყოველთვის ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი.

პრაქტიკულად ეს საკითხი შეიძლება ასე მოგვარდეს: ყველა კავშირებში შესდგეს კომისია, რომელიც კავშირის წევრებს გასინჯავს, შეამოწმებს რამდენათ დასუსტებულია მათი ორგანიზმი. ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ, როგორც ეს შარშან იყო, გადაგზავნის მთავრობა, კომისიის დასკვნის თანახმად, ამა თუ იმ სამკურნალო ადგილზე. მაგრამ რადგან ყველა შემოწმებულის გაგზავნა სახელმწიფო ხარჯზე, როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, მთავრობისთვის შეუძლებელია, უნდა, პირველ რიგში, საგარაკო ადგილებზე ბინები მიეცეს შეღავათ ფასებში ავადმყოფ მუშა მოსამსახურეთ, შემდეგ ორგანიზმ დასუსტებულთ და ბოლოს მათ, ვისაც აგარაკზე წასვლა სურს.

თუ დეკრეტის § 16-ის ბ) ისე განხორციელდა, რომ ყველა სამკურნალო ადგილები ექსპლოატაციისათვის გაცემულ იქნა კერძო პირებზე, შენი მტერია მუშათა კლასმა აგარაკებით სარგებლობა ვერ შესძლეს. კერძო პირი დაინტერესებულია იქნება რასაკვირველია საკურორტო ადგილებიდან რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს და ბინებში ის დააყენოს ვინც სარფას მეტს მისცემს, მის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. რამოდენიმე ათეული მილიონის გადახდას, ყველას მოეხსენება, ვერ შესძლებს ის, ვინც თვეში 10—15 მილიონს ვერ გასცილებია. მუშამ, რომელიც თვეში 15 მილიონს იღებს, როგორ უნდა ვაიღოს 30—40 მილიონი მანეთი სააგარაკო ადგილზე ბინის ქირისათვის? ამის გარდა მას აღარასფერი დასჭირდება? მას მარტო ჰაერი ხომ არ შეინახავს?

ამს წინეთ ცენტრალურმა მუშათა კავშირებმა მიმართეს დაწესებულებებს და წარმოებებს შეეტყობინათ მუშა-მოსამსახურენი და დასუსტებულნი, რომელთათვისაც აუცილებლია წამლობა, გადაეგზავნათ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიაში შესამოწმებლად. ამისათვის თითო დაწესებულებიდან საშუალოდ 5 კაცი გაიგზავნა, მაგრამ შემოწმების შემდეგ სენატორიუმებში სამკურნალოდ მხოლოდ 7 კაცი გაიგზავნა მთელ საქართველოდან. ეს წვეთია ზღვაში. მაგრამ მთავრობა ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ ეხმარება ისე, როგორც მას შეუძლია და საშუალებას აძლევს ღარიბი ხაზინა.

მენშევიკების პატრონობის ხანასთან შედარებით, საბჭოთა ხელისუფლების დრო, გაცილებით უკეთესია იმ მხრივ, რომ ყველა საკითხი, რა დარგის არ უნდა იყოს იგი მშრომელთა კეთილდღეობის სასარგებლოდ სწყდება. ჯანმრთელობის საკითხიც მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ უნდა მოგვარდეს. მუშაობა ამ მხრივ ჯანმრთელობის კომისარიატში გაცხოველებულია და სასურველია იგი დაგვირგვინდეს ისე, რომ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეს შეეძლოს თავის ხარჯზე (შეღავათ ფასებში) დაიქირავოს სააგარაკო ადგილზე ბინა და დაკარგული ჯანმრთელობა დაიბრუნოს, რომ ახალი ენერგიით ჩაებას სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობაში.

მთავრობის მიერ დაწყებული კეთილი საქმე კეთილად უნდა დაგვირგვინდეს და მის განსახორციელებლად, პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგამად უნდა ამ თავითვე იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

აგარაკები მუშა-მოსამსახურეთ, აი დღის ლოზუნგი და იგი უნდა გატარდეს ცხოვრებაში, ისე რომ მუშა-მოსამსახურეთ შეეხლოს აგარაკით სარგებლობა.

აკ. ხი—ძე.

დიდი ყურადღება უნდა სოფელს

1.

დღეს, როდესაც ძირითადი ცვლილებები ხდება საბჭოთა რესპუბლიკეებში და კერძოდ საქართველოს, საბჭოთა რესპუბლიკაში, დიდ ენერგიას, საქმისადმი სიყვარულს და თავდადებულ მუშაკებს მოითხოვს ჩვენი სოფლები.

სოფელში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რაც შეიძლება კეთილ-სინდისიერი შეგნებული მუშაკები, რომელთაც ხალხის ჭირი საკუთარ ჭირად უნდა მიაჩნდეთ და ლხინი კიდევ თავის ლხინად. ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ისეთ პიროვნებებს სოფლათ, რომელნიც მხოლოდ გამორჩენისთვის მიდიან სოფელში, საკუთარი პირადი ბედნიერება დაუსახავს მიზნად და უნდა ისარგებლოს გლეხის შეუგნებლობით.

ძველად, შავ-ბნელ ნიკოლოზის თვითმპყრობელობის დროს, ჩამორჩენილი იყო ჩვენი სოფლები სწავლა-განათლებას და მეტად მცირე იყო სოფლად სკოლები, ან რაც იყო ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ გადაეგვარებინათ ქართველი ხალხი და ეროვნულად დაემახინჯებინათ გლეხის ოჯახი. სამშობლო ენაზე სწავლა-განათლება ცოდვად იყო მიჩნეული.

აკი ამისათვისაც იყო, რომ მაშინდელს სკოლებს ვერ უცქეროდნენ სოფლის გლეხები დიდის ნდობით ასეთ გადამგვარების მიზნით გახსნილ სკოლებს და იქ გამოზდილ შვილზე დიდ იმედებს არ ამყარებდნენ.

— არა, ჩემო ძმაო, მანდ გამოზდილი შვილი არც მე გამომადგება და არც თავის-თავს, ისწავლის ორ-სამ რუსულ სიტყვას და საქმეს აღარ იკადრებსო!..—აი რანაირი შეხედულებისა იყო გლეხი მაშინდელ სკოლებზე.

ისეა დაშინებული სოფლის გლეხი წინანდელ უვარგის სკოლებით, რომ ზოგ-ზოგებს დღესაც ის რწმენა აქვთ, რომ თუ გლეხის შვილმა ისწავლა ის სოფლად აღარ გამოდგება, ნასწავლი კაცი მიწაზე მუშაობას აღარ იკადრებს და მათი შეხედულება ისეთია, რომ მიწაზე მომუშავე უსათუოდ უსწავლელი უნდა იყვეს!..

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, გლეხის ამნაირი შეხედულება თან და თან ქრება, გრძნობს ჩვენი გლეხი თავის შეცდომას და რწმუნდება, რომ უსწავლელობა დიდად აფერხებს მის კეთილდღეობას და უენოდ არის გადაქცეული.

გლეხი თან და თან ერკვევა საღათას ძილისაგან და გაფაციცებით შესცქერის დღევანდელ ამბებს, ის დაინტერესებულია საქვეყნო საქმით და თითქოს გრძნობს, რომ მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია ქვეყნის კეთილდღეობასთან.

გრძნობს ჩვენი გლეხობა, რომ დღევანდელ მომენტს ვერ შეხვდა სათანადოდ მომზადებული და მას კიდევ სჭირდება წინამძღოლები, დამრიგებლები, გზის მაჩვენებლები, რომ შემცდარი ნაბიჯი არ გადასდგას და ზიანი არ მოუტანოს, როგორც თავის თავს ისე საქვეყნო საქმეს, საერთო კეთილდღეობას, რომელიც ძნელი გამოსასწორებელი იქნება შემდეგში.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, დღეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ სოფელში ისეთი შეგნებული მუშაკები იქმნენ გაგზავნილნი, სადაც რასაკვირველია არ მოიპოვებიან ადგილობრივ, რომ სისწორით ტარდებოდეს მთელი ის რეფორმები, რომელიც მიზნად აქვს დასახული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას მშრომელთა საკეთილდღეოდ.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ყოველდღიურ გაზეთ „ტრიბუნა“-ზე

რედაქციის კანტორა ამით აცნობებს ხელის მომწერთ, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ შემოტანილი მარტის თვის ფული შემოიტანონ 25 მარტამდე. უკიდურეს შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა **შეწყვეტილი იქნება.**

კანტორა.

სწავლა-განათლების საქმეს სოფლად და ისეთი სკოლებით მოჰფინოს საქართველოს სოფლები, რომელნიც სწავლა-ცოდნით დიდ ნაყოფს მოუტანს ჩვენს ეკონომიურად ჩამორჩენილ სამშობლოს.

სოფლის აღორძინება-კეთილდღეობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამეურნეო-სახელოსნო სკოლები, სადაც ხარბად უნდა დაეწაფნენ გლეხის შვილები ცოდნას.

სამეურნეო სკოლების ასაღორძინებლად დამის მკვიდრ ნიადაგზე დადგომის გარანტიას იძლევა ის მიწის რეფორმა, რომელიც ტარდება საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე. ბევრ ალაგას ისეთი მამულები ჩამოერთვათ მემამულეებს, სადაც კულტურულად იყო მეურნეობა დაყენებული. ამნაირ მამულის დანაწილება-დაქუცმაცება დიდი სახეირო არ არის, რადგან შესაძლებელია სარგებლობის მაგვრად ზარალი მოიტანოს, ხოლო სამეურნეო სკოლებისთვის კი დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

ამნაირი ბაღ-ვენახები, თუ ხილის ბაღები აუცილებლად უნდა იქნენ გადარიცხულნი სამეურნეო სკოლების საჭიროებისთვის ხოლო სადაც ჯერ-ჯერობით არ არის სამეურნეო სასწავლებელი და ამნაირი მამული არის, სასურველია საამხანაგოთ, კომუნალურად იქმნეს დამუშავებული და შემოსავალიც მოხმარდეს თვით ამხანაგობას.

სასტიკი თვალ-ყური უნდა ედევნოს სოფლად კულტურულ მეურნეობას, რომ უვიცების და შეუგნებლების წყალობით უკან-უკან არ წავიდეს. უნდა დავარწმუნოთ გლეხობა, რომ მისი ბედ-იღბალი დამოკიდებულია საერთო საქმეზე და უნდა შევაჩვიოთ ის საერთო საქმეს. ამას კი შევძლებთ მაშინ, როდესაც მას უჩვენებთ საუკეთესო მაგალითს საერთო საქმისთვის. ასეთი მაგალითი კი შეგვიძლიან უჩვენოთ სამეურნეო სკოლის საშვალებით, სადაც სწავლა-ცოდნასთან ერთად გლეხის შვილები საერთო ძალით ხალისიანად შეუდგებიან ბაღ-ვენახების კულტურულად დამუშავებას.

მართალია ახლად ფეხ-ადგმულ საბჭოთა საქართველოს ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ და ერთი დამაბრკოლებელთაგანი არის ეკონომიური უსახსრობა ,მაგრამ თუ გულმოდგინეთ შეუდგებით საქმეს, იმედია დავძლევთ დაბრკოლებას.

სამეურნეო სკოლები ვიცით დიდ ხარჯს გამოიწვევს და არც ისე ადვილია მათი გახსნა, მაგრამ მაინც უნდა შევძლოთ, რამდენიც კი შეიძლება რადგან ჩვენი აღორძინება და დაწინაურება მტკიცედ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის წინმსვლელობასთან, რადგან ჩვენი ქვეყანა უმთავრესად მეურნეობის ქვეყანა არის.

დვანელი გლეხიშვილი.

სოფლო მეურნეობა და ქართველი ხალხი.

ოჯახი და მისი ორგანიზაცია.

ბევრი დამტკიცება არ უნდა, რომ ჩვენი დღევანდელი ოჯახი ის აღარ არის, რაც უწინ იყო. უწინ ოჯახი იყო **ნამდვილი კომუნა, ნამდვილი შრომის სახლი**, დაარსებული, ეჭვი არ არის, მის წევრთა სიცოცხლისა და ცხოვრების უზრუნველყოფისთვის. იგი იყო ისეთივე ქარხანა ანუ სახელოსნო, რომლებსაც აარსებენ სხვადასხვა ხელოსნები თავისა და ოჯახის სარჩენად. განსხვავება აქ მხოლოდ იმაში იყო, რომ ქარხანას და სახელოსნოებს აარსებდნენ და დღესაც აარსებენ მხოლოდ ზოგიერთნი, ამა თუ იმ ხელობის მცოდნე კაცები, ხოლო **საოჯახო ქარხანას** აარსებდა ჩვეულებრივ ყოველი **მამაკაცი**, როგორც ერთად-ერთს უსაჭიროეს, ბუნებრივ და მასთან საუკეთესო ქარხანას შთამომავლობისა და მისი არსებობის უზრუნველყოფისათვის და **ქალიც**, როგორც ვიცით, სიამოვნებით მიჰყვებოდა ასეთი ქარხნის დამაარსებელ პატრონს—მამაკაცს, ვითარცა ცოლი და მომარაგე ოჯახისა, რომელშიაც თითქმის მეორე დღიდანვე იწყებოდა ხელ-დაუდებელი მისი შრომა: სახლ-კარის მოვლა-პატრონობა, ბაღ-ბოსტნისა თუ მინდვრის დამუშავება და მოსავლის მოკრეფა-დაბინავება, შვილების აღზრდა, ჩაცმა, დახურვა, კვება, ქსოვა, კერვა, ცხობა, ხარშვა, მირთმევა, მკა, ღეწვა და სხვადასხვა, რომლებიც, მართალია, მთელს ოცდაოთხ საათს მოსვენებას არ აძლევდნენ ასეთი კომუნის თუ შრომის სახლის დამაარსებელთ, მაგრამ მაგიერში იყვნენ უზრუნველყოფილნი ცხოვრებით და კმაყოფილნი ბედნიერნი ოჯახის დამოუკიდებელი არსებობით...

და რამდენათაც ერთგულნი და თავდადებულნი იყვნენ ცოლ-ქმარნი ასეთი შრომის სახლისა, რამდენათაც მეტს ირჯებოდნენ და ზრუნავდნენ ასეთი ოჯახის წევრნი საერთო კეთილდღეობისათვის, იმდენათვე მეტს პატივსაც იმსახურებდნენ იგინი შვილებისა და შვილი შვილებისაგან.

მომყავს აქ ნიმუშად ასეთი ოჯახის შემადგენლობისა და რაობის შესახებ, 1904 წლის ყურ-

ნალ „მოგზაურში“, პირველ და მეორე ნომრებში დაბეჭდილი კონსტანტინე გვარამიძის წერილი.

„ჯავახის ოჯახობა შესდგება დიდი ხიზანისაგან, 10—50 სულამდის, რომელსაც უფროსობს ერთად-ერთი თეთრ-წვერა მოხუცი. ყველა ამას ემორჩილები და მის განკარგულებაშია მთელი ოჯახის საქმე: შინაური ნაწარმოების გაყიდვა და სამაგიერო ოჯახის მოთხოვნილების სყიდვა, ჭირში თუ ლხინში განკარგულება-მეთაურობა და მისთანობა. და თუ ვეღარ შესძლო, ან ძმას ან უფროს შვილს გადასცემს უფროსობას, რომლის მორჩილებაში იქნება მთელი ოჯახობა და არ იქნება მთელი ისე უთაურობა, როგორც გურულის ოჯახში, სადაც 5—6 სული ვერ თავსდება ერთად და ყველა სათითაოდ უფროსობს, რითაც უსიამოვნებაში სუფევენ თავიანთ დღენი...

ქალებს, მეტადრე რძლებს, მამამთილის, დედამთილის და მაზლების დიდი მორიდება აქვთ. პირველათ „ვაჟბატონობით“ და უკანასკნელათ „გულობით ეხსენიებენ. რძალი ამათ პირდაპირ ხმას არ გასცემს, ვერ ელაპარაკება ხმა-მაღლა, არამედ მოენის (თარჯიმანის) მეოხებით, რაიცა 10—12 წლის მაზლი ან მული შეადგენს. ყოველ მათ მოცემულ კითხვებზე მოენით გასცემს პასუხს. მამათა გუნდში შეიძლება ოჯახის თავი მოხუცი ქალიც გაერიოს, რომელიც თავად ითვლება ქალებში და მის მორჩილებაში ჰყავსისინი, ხოლო, თუ გადახუცებულია იგი და არ შეუძლიან მართვა, უფროს რძალს მიანდობს უფროსობასა.

მე მახსოვს, განაგრძობს გვარამაძე, 1882 წელს ხიზაბავრაში (სოფელია ჯავახეთში ქერთველ კათოლიკე ჯავახელებით დასახლებული) ვილიჯანათ პეტეს ოჯახი 47 სულისაგან შესდგებოდა: მას ჰყავდა ორი ძმა: ატო და აკო და ამ სამთავ ცოლებიც ჰყავდათ, სულ იქნება 6 სული. პეტეს ჰყავდა სამი ვაჟი, ორი დაცოლშვილიანებული. ატოსაც სამი ვაჟი ჰავდა, მათგან ორი ცოლიანი, სულ 22 სული. ამათი ნაყარი შვილებიც 25 ყმაწვილი იყო, ქალი და ვაჟი, სულ შეადგენს 47 სულს.

პეტრე, როგორც უფროსი ძმა, მთელი ოჯახის საქმეს განაგებდა. გადასახადები ოჯახისა, ნაწარმოებთა გაყიდვა, საჭირო სასყიდების შეძენა, ოჯახში ტანისამოსი, საპონი, ნავთი და სხვა, როგორც კი თავისი ძმები თავის შვილებში შეამჩნევდნენ ნაკლულევანებას, პეტრეს გააგებინებდნენ ჭ ისიც შეიძენდა და ასე მთელი შემოსავალ გასავალი ამას ხელში ჰქონდა. ატაოს ხელში იყო მამულების მოვლა-პატრონობა ჭ დამუშავება. აკოს საქონლის მოვლა ჰქონდა მინდობილი—ცხვარი, ძროხა, ხარი და კრავები, მატყლი, ყველი ჭ სხვა, რაც მოსჭარბდებოდათ ოჯახში.

ამათ ჰავდათ 300—400 სული ცხვარი, 10—13 ძროხა, 2—3 ცხენი, ამდენივე ძაღლი, კატა ჭ ვირი, ჰქონდათ 20 დესეტინა საძოვარ-სათესი მიწა ჭ ვენახიც ორი დესეტინა. სახლი სამი ჰქონდათ, ძმები შვილებით თითოეულში ცვოვობდნენ, ხოლო საქმელზე ერთად მოიყრიდნენ თავს. 5—6 აკვანი ყოველწლივ იდგა ამ ხიზანში. პეტრეს ცოლსაც ჰქონდა მინდობილი მთელი ოჯახის ნაწარმოების შენახვა და საჭიროებაში ეკონომიურად მოხმარება-გამოზოგვა მისი. ატოს ცოლს პურის ცხობა მიენდობოდა, რომელიც კვირაში ერთხელ თონეს ანთებდა და 2—3ჯვალს ფქვილს ზელავდა რძლების დახმარებით და აცხობდა თვითონ, ხოლო აკოს ცოლი მართავდა რძის წველას და ნაწველი ნაწარმოების მზადებას, ქათამ-ბატის საქმეს და მისთანობას...

„ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“, ეს სწორედ ზედ-გამოჭრით ჯავახ ქალებზე ითქმის, განაგრძობს ავტორი, რომელნიც თავიანთ ქმრებს გვერდში უდგანან ქედ-მოხრილნი და თანაბარს უღელს უწევენ ყანა-ჭალაში. მიუხედავად ამისა, ამ უძლური დედა-არსების საქმეა ყოველ დილას 20-30 სული საქონლის ლამით დაფუნულის გარეთ ხერძლებით ზიდვა, ერთ ეერსზე კოკებით წყლის მოტანა, კრავების წოვება, წისქვილში ვირებით სიარული საფქვავზე, თონეების გახურება და ცხობა პურისა, სასმელ-საჭმელის მომზადება, სახლკარის ხვეტა-წმენდა, თავიანთებური ჭრა-კერვა, წინდა-შალების ქსოვა და სხვა. რასაც ყველა ამ სასაქმოში დარჩომილს ქალს აგვირგვინებს მისი პატრონი მით, რომ ფეხშიშველაც ატარებს, მერმე და იქაურს ისეც ცივს და სუსხიან თოვლიან ზამთარში, რომელნიც დედიშობილ შიშველ ფეხებით დაიარებიან თვით ახალი ნალოგინევი ქალები, რომელთაც სწორედ სასწაულით ღმერთი ინახავს იმ ნალოგინევთ და არა ემიზეზებათ-რა ფეხ-შიშველობითა და ყოჩაღათ არიან. „ცოლნი თვისნია ქმართ დაემორჩილენითო“, ეს მცნება მათ დაუვიწყებლად აქვთ ქმრების წინაშე. ცემა, ტყეპა, გინება და ლანძღვა ზედ-მეტად ბევრად უნდა აიტანოს საცოდავმა სასაქმოში მომაკვდავმა ჯავახმა მანდილოსანმა თავიანთი მხეკი-ქმრებისაგან, რაიცა ყველა ეს შეუულებისავე ედებათ მათ პირობასავით. და ყველა ეს შეწუხეაა უნდა უხმოდ გადაიტანონ“...

ასეთია ჯავახელთ ოჯახი, ასეთი იყო ოდესღაც საზოგადოთ ქართველის ოჯახი თუ საოჯახო კომუნა.

ივანე როხტომაშვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

ხელოვნური განაყოფიერება. პროფ. ი. ივანოვის მიერ რუსეთში, რამოდენიმე წლის უკან გამომუშავებული იყო მეთოდი ხელოვნურ განაყოფიერებისა. სასოფლო მეურნეობის საკითხთან დაკავშირებით ეს მეთოდი მეტად მნიშვნელოვანი ხდება. პრაქტიკაში.

შინაური ცხოველების ხელოვნურ განაყოფიერების მეთოდის არსება მასშია, რომ სათესლე სითხე მამროსითი სქესთა შეიძლება განაწილებულ იქნას 10 მდედრობითზე, ასე რომ 10 მამლის შეცვლა შესაძლებელია ერთი მამრობითი სქესით.

პრაქტიკულ მუშაობას ამ მეთოდით წინ უძღოდა მრავალი წლის ექსპერიმენტალურ გამოკვლევა პროფ. ივანოვისა, რომელმაც მარტო ცხენებზე 500 ცდა მოახდინა, დანარჩენი ცხოველები, რომ არ ვიანგარიშოთ. გამოკვლეულ იქნა, რომ შთამომავლობა ხელოვნურ განაყოფიერებიდან არაფრით არ განსხვავდება ბუნებრივი გზით წარმოშობილთაგან, როგორც შრომის უნარიანობის მხრით, ისე ნაყოფიერობის და სხ. აღრიცხულ იქნა მთელი რიგი დოლზე გამარჯვებულ ცხენებისა, რომლებიც ხელოვნურათ იყვენ ჩასახული. 1909 წელს შექმნილ იქნა სპეციალური ლაბარატორია ამ მეთოდის. ასპულირიზაციისათვის ზოოტეხნიკოსებს შორის, სპეციალისტების მოსამზადებლად და ხელოვნური განაყოფიერების ადგილობრივ პუნქტების მოსაწყობათ. 1914 წელს რიცხვი ხელოვნურათ განაყოფიერებულ ცხენებისა აღწევდა 7000-მდე. მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ მეთოდის გამოყენების განვითარებას და იგი შეჩერდა; მხოლოდ 1920 წელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ მიღებულ იყო დადგენილება ცენტრალური საცდელი სადგურის დასაარსებლად შინაურ ცხოველების გამრავლებისათვის. ამ ჟამათ უცხოეთიდან მიღებული არის საჭირო ინვენტარი, მომზადებულია კადრი სპეციალისტ-ინსტრუქტორებისა და მუშაობა დაწყებულ იქნება.

უცხოეთში, მსგავსივე მეთოდით პრაქტიკული მუშაობა სწარმოებს ჩეხო-სლოვაკიაში, გერმანიაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. ექსპერიმენტალურმა მუშაობამ ცხოველებზე ახალი საფუძველი შექმნა ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკული გამოყენებისათვის მედიცინაში, ქალების უნაყოფობის შემთხვევებში. ასე მაგალითად, გერმანიაში ამ მეთოდით მუშაობს პროფ. დედერლეინი, დოქტორი როლლედერი და სხ. რუსეთშიც ეს მეთოდი რამოდენიმე გინეკოლოგის მიერ გამოყენებული არის.

— —

ახალი შრომა სომხეთის შესახებ. სომხის გამოჩენილი მარსეგიანი სცემს პროფესორ და აკადემიკოს ნიკოლოზ მარის შრომას „სომხეთის ისტორია“. (კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება და სხ.) აკადემიკოსი მარი ამ ჟამად იმყოფება ევროპაში, სადაც ცნობილობს სომხეთის ისტორიის ლიტერატურას. შრომა გამოიცემა პროფესორ მარის ჩამოსვლისთანავე.

სომხების ახალი სამეცნიერო საზოგადოება —მოსკოვში სომეხ ინჟენერ, ექიმთ და აგრონომების ინიციატივით დაარსდა ახალი სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც ღებულობს მისიას ყოველნაირად ხელი შეუწყოს სომხეთის აღორძინებას.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ფუენტე ოვეხუნას ბენეფისი.

დღეს, მარტის 22-ს, რუსთაველის თეატრის სახელმწიფო დრამის მსახიობთა: თამარა ჭავჭავაძის, აკაკი ვასაძის, შალვა ღამბაშიძის, მიხ. ლორთქიფანიძის და უშანგი ჩხეიძის ბენეფისია.

მოკლედ, დღეს **ფუენტე ოვეხუნას** დღესასწაულია.

ვინც იცის თეატრის მნიშვნელობა საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენთვის, იგი ამ დღეს უდიდესი სიამოვნებით მეიგებება.

ვისაც არა აქვს მოდუნებული ნერვები და დაჩლუნგული გრძნობა, მას არ შეუძლია სიხარულით არ შეხვდეს ამ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობთა საბენეფისო გამოსვლას...

რადგან იყო დრო, შავბნელი დრო, ქართულ თეატრის უახლოესს წარსულში, როდესაც ყოველივე მისი აწმყო და, მაშასადამე, მომავალი ხელჩაქნეული იყო.

საბედნიეროდ, ყველანი არ იზიარებდნენ ამ „მიმართულებას“ და ბევრნი, ძალიან ბევრნი, მაგრამ „არაძლიერნი“, იმედს არ ჰკარგავდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართულ თეატრს აქვს აწმყო და ექნება კიდევ უკეთესი მომავალი, დაყრდნობილი უაღრესად ღამაზ ნამყოზედ, ჩვენს თეატრის ძლიერ პოტენციაზედ.

დიდ, არათანასწორ ბრძოლაში გამარჯვება ამ უკანასკნელ ჯგუფს ხვდა წილად და საგრძნობ ხნის დუმილის შემდეგ კვლავ ამეტყველდა ტაძარი ჩვენი ხელოვნებისა.

და მეტყველება მისი იყო უდიდესი სიამოვნება ხალხისა და ბევრისათვის კი ნამდვილი ბედნიერება.

რადგან ცხოვრებამ გაამართლა და მიიღო ჩვენი თეატრი და დღეს ჩვენ ვხედავთ არა მარტო ყბად აღებულ ძველ მსახიობთ, არამედ ახალგაზრდათაც, რომელნიც ერთად, შეხმატკბილებულნი, ხელოვნების ცეცხლს ინახავენ, აღვივებენ, აძლიერებენ...

ვის არ უნახავს „ფუენტე ოვეხუნა“—„ცხვრის წყარო“, ვის არ განუცდია მისი ხილვით სიტკბობა მშვენიერებისა?

არ მეგულება მოქალაქე, რომელსაც არ შეეგრძნოს ეს სასწაულისებრივი გამარჯვება ქართულ თეატრისა.

და მით უფრო დღეს ჩვენს სასიამოვნო მოვალეობას შეადგენს მისვლა რუსთაველის თეატრში და გამხნევება ქართულ დრამატიულ ხელოვნების ახალ შესამჩნევ ძალთა.

საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ჯადოსნურმა ხელმა კ. მარჯანიშვილისამ აღადგინა ჩვენი ჩაფერფლილი თეატრი, მაგრამ საზოგადოებამ ისიც უნდა იცოდეს, რომ თამარა ჭავჭავაძე, აკ. ვასაძე, შ. ღამბაშიძე და სხ. ის ახალგაზრდანი არიან, რომელნიც სხვებთან ერთად გრძნობენ კ. მარჯანიშვილს ჭეშმარიტ მსახიობის ფაქიზ ნერვით.

მრწამს, საზოგადოება დღეს თეატრს გაავსებს და საბენეფისო გამოსვლას ჩვენ ახალგაზრდა ფუენტე ოვეხუნასას სათანადოდ დააფასებს...

თეატრის მეგობარი.

—

რ. და რ. ადელგეიმების გასტროლი.

იშვიათად თუ მოიპოვება სადმე ისეთი პოპულიარული მსახიობნი, როგორიც არიან ძმები ადელგეიმები. ცნობილია მათი სახელები პეტერბურგსა ჭ მოსკოვშიც რასაკვირველია, მაგრამ მათი ხსენება რუსეთის პროვინციებში უფრო დიდია. მე მგონი არ არსებობს არც ერთი ქალაქი რუსეთში, თუ კი ჰქონებათ იქ თეატრი, რომ არ ყოფილიყვნენ ადელგეიმები გასტროლებზე. მათ, პირველმა შეიტანეს რუსეთის მიყრუებულ პროვინციებში კულტურული თეატრის სხივი და აი სწორედ ამაში გახლავთ მათი მთავარი დამსახურებაც. პოპულიარულია მათი სახელი ტფილიზიაც.

მე მახსოვს მათი პირველი გამოსვლა ყოფილი არტისტიული საზოგადოების თეატრის სცენაზე. მაშინ, ტფილისში მუდმივი დრამატიული დასი არ არსებობდა. ეხლა-ხან, განსვენებული დიდი მეცენატის, პიტოევის, მიერ გაშენებული თეტრი, გაცემული იყო ცნობილ მსახიობ-ქალ ვოლგინაზე, რომელიც ვერ იტანდა ტფილისელ საზოგადოების გულგრილობას დრამის წარმოდგენების მიმართ და მათი ოპერით გატაცებას—მოიწვია სეზონისთვის დრამატიული დასი. მიუხედავათ ამისა ვოლგინას ანტრეპრენიზა ჩაიშალა დასრული სიკოტრისაგან მისი დასი გადაარჩინა ძმებმა ადელგეიმებმა, რომელიც ვოლგინამ მოიწვია რამოდენიმე გასტროლისათვის.

გასტროლებმა თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით სავსებით დაიპყრო ტფილისის საზოგადოება.

ადელგეიმები ბოლომდე შერჩენ სეზონს.

ამ დროიდან დაიწყო ნიჭიერი მსახიობ ძმების, პოპულიარობა ტფილისში და აქნამდე სასურველ სტუმრებათ გადაიქცნენ.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ძმები ადელგეიმები ყოველ გვარ და ეჭვების გარეშე სდგანან, საკმაო სცენიური ღირებულებებით და ფართო ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, ხოლო უფრო მეტად მათი თვისებას შეადგენს დიდი შრომა, ერუდიცია და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება.

თუ დააკვირდებით, ადელგეიმები გამოდიან ყველგან მეტად შეზღუდული რეპერტუარით. კარდინალური ხასიათის პიესები, რომელშიდაც ისინი გამოდიან ეს კლასიკებია: მეფე ლირი, ოტელლო, ჰამლეტი, რევიზორი და სხვა. კლასიკების პიესების გარდა მათ რეპერტუარაში არის რამოდენიმე მელოდრამები, ავრეთვე რამოდენიმე პიესა ძველი რუსული დრამატიული რეპერტუარიდან. სულ ადელგეიმების რეპერტუარი შეადგენს თითქოს ჯადოსნურ წრეს, რომლის იქეთ ამდენი ხანია ვერ გასცილებიან.

სამთავრო რიგები, სწორედ საგანგებო ხელოვანებით აქთ დამუშავებული.

ფრიად პოპულიარულია ტფილისში გე—ს პიესა „წამება“ („Казнь“), რომელშიაც რობერტ ადელგეიმი გამოდის გოდდას კაფე-შანტანების მომღერლის შემსრულებლათ. გოდდა-ადელგეიმისა, კეთილშობილი, სინდისიერი, ენტუზიასი ისპანელია. ამ როლში, რობერტ ადელგეიმს არა ჰყავს მოკილე არსად. მის ეხლანდელი შესრულებასაც-კი არ აზის ბეჭედი განვლილი დროისა. ამ უკანასკნელ მგზავრობისასაც, რობერტი ისეთივე მომხიბვლელი გოდდაა, როგორც ამ 25 წლის უკან, მან პირველათ დაიპყრო ტფილისელ საზოგადოების სიმპატია ამ როლში.

რობერტ ადელგეიმი სავსებით იცვლება: ამ როლში თქვენს წინაშე სდგას გზნება მორეული ისპანელი. გამართული, ლამაზი ფრანგული ენა, რომელშიდაც ხანდისხან საოცარის ოსტატობით ჩაურთავს გადამასინჯებულ რუსულ ენას, ვინაიდან ისპანიელ-გოდდას შესანიშნავათ აქვს შეთვისებული ფრანგული და ძლიერ სუსტათ რუსული. მას ისეთივე კარგი გრიმი აქვს, ისეთივე ლამაზათ მოხდენილ „ტორრეა-დორის“ კოსტიუმს ატარებს, ისევე მომხიბვლელად მღერის შანსონეტურ და ბოშურ რომანსებს, ხოლო ამასთანავე მუდამ რჩება კეთილშობლიურ ადამიანათ, რომლის მიმართ ყოველნი რაღაც უნებურ მოწიწებას გრძნობენ.

კარგია ამ გე—ს პიესაში ქ-ნი მაქსიმოვა, რომელიც გულწრფელი სიფაქიზით მოყვარული არსებას (ქეთო) ანსახიერებს.

ბიკენტის როლს ასრულებს ბ. მარგარიტოვი. ის გულწრფელათ და ტემპერამენტით განიცდის ამ როლს, თუმცა ჩემის აზრით, მისი როლის გაგება სავსებით სწორი არ არის: ბიკენტა—ნევრასტენიული, ავადმყოფი ადამიანი, არაჩვეულებრივი ხასიათის სათნო თვისებებით; უსაზღვროთ გულკეთილი და კეთილშობილი, რომელსაც ულრმესათ სწამს ერთი ნათელი საწყისი და ადამიანებში უარყოფითი თვისებები არა სჯერა და ვერც ამჩნევს, ეგრეთვე, სიტყვით ბიკენტი იდეალისტი პიროვნებაა, და მისი „წამება“ და სულიერი წამებაც იმაში მდგომარეობს, რომ მას არ შეუძლია დაიჯეროს, რომ ადამიანები უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარ კეთილშობილებას, გულწრფელობას მოკლებულნი, მაცდური-ბატონ-ერეკლეები არიან. — ეს ეს ... თილს და პოულობს ... უბასიათო ადამიანებ... ... ...